სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3

საჯარო სკოლის 2023-2030 წლების

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სოფ. წეროვანი

2024 წელი

შესავალი

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც აღწერს სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს,

ღირებულებებს, მიზნებს/ამოცანებსა და მათი მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის შეფასებას.

სტრატეგიული გეგმა ორიენტირებულია გაუზიაროს სკოლის ხედვა, მისია და ღირებულებები ყველა დაინტერესებულ მხარეს (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, თემი), ხელი შეუწყოს ეფექტურ კომუნიკაციას.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი საგნობრივი კათედრების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ჯგუფმა პედაგოგიური საბჭოსთან ერთად მოამზადა სკოლის არსებული მდგომარეობის SWOT ანალიზი და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრა სკოლის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბდა სტრატეგიული მიზნები.

სკოლის დემოკრატიული მართვის პრინციპებს, მასწავლებელთა პროფესიული ზრდის, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების, დიფერენცირებული მიდგომების დანერგვის გზებსა და საშუალებებს 2023-2030 წლებისათვის.

თავი I

სკოლის მონაცემები

სკოლის მისამართია მცხეთის მუნიციპალიტეტი წეროვნის ახალი დასახლება

სკოლის შენობის ფართი: 2689.05მ^2

არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართი -7640 მ^2
შენობის განაშენიანების ფართი - 2689.05 მ^2

მოსწავლეთა რეოდენობა: დაწყებითი საფეხური - 646

საბაზო საფეხური - 348

საშუალო საფეხური -242

მასწავლებლების რაოდენობა: უფროსი მასწავლებელი -51

წამყვანი მასწავლებელი -15

მენტორი მასწავლებელი-2

სკოლის შენობა აშენდა 2009 წელს

თავი I

1. ორგანიზაციული და ინსტიტუციური გარემოს შეფასება

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
❖ **სკოლის ფილოსოფია** სკოლას შემუშავებული აქვს ხედვა მისია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. ❖ **სასკოლო კურიკულუმი** სკოლაში 2019 წლიდან ინერგება „ახალი სკოლის მოდელი“. სკოლის კურიკულუმი შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან სტრატეგიებს; ❖ **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	❖ **სკოლის ფილოსოფია** ❖ **სასკოლო კურიკულუმი** ❖ **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** ❖ **მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა** ❖ **მოსწავლეთა მხარდაჭერა**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლაში ტარდება საჭიროებათა კვლევას პერსონალის განვითარება იგეგმება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე;

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს;

სკოლა აშენდა 2009 წელს; აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიით, ბიბლიოთეკით, გეო კლასით;

სკოლის ინფრასტრუქტურა მეტწილად ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის ინფრასტრუქტურა აქტიურად გამოიყენება სოციო-კულტურული ურთიერთობების განვითარებისთვის;

- **მოსწავლეთა მხარდაჭერა**

სკოლაში დაცულია მოსწავლეთ უფლებები და ინტერესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მოსწავლეთა და მშობლების უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა საგანმანათლებლო მომსახურებას.

შესაძლებლობები	საფრთხეები

სკოლის მისია

სკოლის მისიაა დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ხელი შეუწყოს მის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. შესძინოს მას თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება, განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა. შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად, საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი თვისებებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად და გასავითარებლად. ასევე, დაეხმაროს მას მომავალი განვითარების გზის არჩევაში (გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ან ჩაებას შრომით საქმიანობაში). იზრუნოს პედაგოგთა საქმიანობის ხარისხობრივ ზრდაზე, იყოს კონკურენტუნარიანი

სკოლის მისიაა ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. რისთვისაც უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, მოამზადებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, კონკურენტუნარიან პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებს.

სკოლის ხედვა

ჩვენ ვართ სკოლა, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთთანამშრომლობაზე, პატივისცემასა და ტოლერანტობაზე. ვქმნით სამართლიან, გამჭვირვალე გარემოს და მხარს ვუჭერთ მოსწავლის

თანამედროვე სამყაროსთვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვას. ჩვენ ვაძლიერებთ არაფორმალურ განათლებას და ვზრდით კრიტიკულად შემოქმედებითად მოაზროვნე, პრობლემების გადამჭრელ, ნოვატორ, თავისუფალ მოქალაქეს. ჩვენ ვაყალიბებთ მართვის დემოკრატიულ სისტემას, კვლევაზე დაფუძნებით ვავლენთ გამოწვევებს და ერთობლივად ვნერგავთ გადაჭრის სტრატეგიებს. ჩვენ ვახალისებთ ინიციატივებს და ხელს ვუწყობთ მათ განხორციელებაში. რაც თემში პოზიტიური ცვლილებების საწინდარია. სკოლა უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას, სწავლის პერიოდშივე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რეალურ სამუშაო პროცესებში ჩართვას, ინოვაციების, გამოცდილებისა და რესურსების ურთიერთგაზიარებას.

სკოლის ხედვაა 2030 წლისთვის გახდეს რეგიონში წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მსურველებს შესთავაზებს მრავალფეროვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

სკოლის ღირებულებები

- **თანასწორობა**
- **პატივისცემა/ტოლერანტობა**
- **ურთიერთთანამშრომლობა**
- **სამართლიანობა**
- **გამჭვირვალობა**
- **შემოქმედებითობა/ნოვატორობა**
- **მიზანდასახულობა**
- **ხარისხიანი პროფესიული განათლება**
- **თვითგამოხატვის თავისუფლება**

ურთიერთთანამშრომლობას ვაღწევთ სკოლისა და ოჯახის კონსტრუქციული თანამშრომლობის გზით. პატივისცემა და ტოლერანტობა მიიღწევა ერთიანი სოციალური პროექტებით. (დისკუსიები, დებატები, ფილმების ჩვენება -განხილვები, კონფერენციები). ამ ღირებულებების ინტეგრირებას ვახდენთ სასწავლო პროცესში, სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტებსადაარაფორმალურშეხვედრებშიც.
ჩვენი გუნდი ზრუნავს ინფორმაციის გამჭირვალობაზე სხვადასხვა გზით. ანგარიშვალდებულებებით (სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმართველობის ანგარიშვალდებულება ამომრჩეველთა მიმართ, მოსწავლეთა მიწვევა სამეურვეო საბჭოზე და ა. შ.). სამართლიანობა მიიღწევა ერთმანეთის მოსმენით, გამჭვირვალე გარემოს შექმნით, კანონის დაცვითა და მოსწავლისთვის კანონების განმარტების გზით. ადამიანის მთავარი ღირებულებების (სიტყვის თავისუფლება,საკუთარიაზრისდაფიქსირება)პატივისცემისგზით. ჩვენი სკოლა მოსწავლეებში აძლიერებს არაფორმალური და ფორმალური განათლების მეშვეობით(დისკუსიები, დებატები, ფილმების ჩვენება-განხილვებით, კონფერენციებით) ტოლერანტობის, მრავალფეროვნების მართვის, სამეწარმეო უნარ-ჩვევებს. ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, ადამიანის უფლებათა დაცვას და სხვა გამჭოლი უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების გათავისება

2. სკოლის მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით

სკოლაში მიმდინარეობს 12 წლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება ქართულ ენაზე. სკოლა, სრული ზოგადი განათლების მიხედვით, არის სამსაფეხურიანი: დაწყებითი (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები). სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული ინტეგრირებული პროგრამა.

დაწყებითი საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

ა) შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად;
ბ) ჩამოუყალიბოს მოსწავლეს სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და სამყაროს შემეცნების მიმართ ინტერესი;
გ) შეუქმნას მოსწავლეს პირობები და ჩამოუყალიბოს საფუძვლები შემდგომ, საბაზო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად; იმ ცოდნის დასაუფლებლად, უნარ- ჩვევების განსავითარებლად და დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც მას მომავალში დასჭირდება.
საბაზო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

ა) დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში;

ბ) შეუქმნას მოსწავლეს პირობები იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში;

გ) შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობა სწავლის გასაგრძელებლად, ან შრომით ბაზარზე სწორი არჩევანის გასაკეთებლად.

საშუალო საფეხურის ძირითადი ამოცანებია:

ა) შეუქმნას მოსწავლეს პირობები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მისაღებად;

ბ) დაეხმაროს მოსწავლეს მომავალი არჩევანის გასაკეთებლად (სწავლის გასაგრძელებლად და/ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად);

გ) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი სრული ზოგადი განათლება.

დ) განახორციელოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა;

ე) მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სათანადო თეორიული, პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტები;

ამ მიზნების შესრულებისათვის სკოლა:

- ✓ ზრუნავს, როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ისე ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ✓ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განახლებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ადამიანური რესურსით;
- ✓ ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტების საჭიროებებსა და ქმნის მათთვის სწავლის საშეღავათო პირობებს;
- ✓ ხელს უწყობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისათვის ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელებას;
- ✓ ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

თავი II

1. სტრატეგიული მიზნები:

1. სკოლა მისი ორგანიზაციული მოწყობით, ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფს მუდმივ ინსტიტუციურ განვითარებას და წარმატებულ საგანამათლებლო საქმიანობას;
2. სკოლის მიერ გაწეული საგანამანათლებლო საქმიანობა მოსწავლეზე ორიენტირებული და ყველასათვის ხელმისაწვდომია. პროცესი უნიფიცირებული მიდგომებიდან ეფექტურად გადადის დიფერენცირებულ მიდგომეზე;
3. სკოლაში დანერგილია სასწავლო გეგმა და სწავლა-სწავლების სტრატეგიები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც ეროვნულ-კულტურული ფასეულობებისა და ტრადიციების, ასევე მსოფლიო ხალხთა ფასეულობებისა და ღირებულებების პატივისცემას;
4. სკოლაში წახალისებულია შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, დაცულია გამოხატვის თავისუფლება და ეთიკური ნორმები.

5. სკოლა მოსწავლეებს უყალიბებს მაღალ პასუხისმგებლობას ოჯახის, თემის, სამშობლოს, მისი კულტურისა და ბუნებრივი გარემოს მიმართ;

2. სტრატეგიული მიმართულებები:

1. სკოლის მართვის დემოკრატიული სტრუქტურის განმტკიცება;
2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
3. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სკოლის ბაზაზე;;
4. მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა

5.საზოგადოებასთან ურთიერთობა.

3.სტრატეგიული ჩარჩო

1. სკოლა მისი ორგანიზაციული მოწყობით, ადამიანური და რესურსებით უზრუნველყოფს მუდმივ ინსტიტუციურ განვითარებას და წარმატებულ

ამოცანაN1

სკოლაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილია სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც მაღალი ხარისხით ახორციელებენ საქმიანობას

ამოცანაN2

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა ეწევა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას

ამოცანაN3 სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად აკმაყოფილებს მოსწავლეთა და თანამშრომლების საჭიროებებს

ამოცანაN4

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თემთან, სამთავრობო და არასამთარობო ორგანიზაციებთან

2. სკოლის მიერ გაწეული საგანამანათლებლო საქმიანობა მოსწავლეზე ორიენტირებული და ყველასათვის ხელმისაწვდომია. პროცესი უნიფიცირებული მიდგომებიდან ეფექტურად

ამოცანა **N1**

სკოლაში იქმნება სასკოლო კურიკულუმი, რომელშიც

ასახულია სასკოლო საზოგადობის საჭიროებები და ინტერესები

ამოცანა **N2**

საგნობრივი კურიკულუმები გამომდინარეობს ესგ-დან და ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და აკადემიური უნარების განვითარებაზე

ამოცანა **N3**

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლების ჩართვას პროფესიული განვითარების აქტივობებში

ამოცანა **N4**

სკოლა უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას და თანაბარ შესაძლებლობებს ყველა ბავშვისთვის,მიუხედავად მისი საჭიროებისა, რელიგიური თუ რასობრივი კუთნილებისა.

3. სკოლაში დანერგილია სასწავლო გეგმა და სწავლა-სწავლების სტრატეგიები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც ეროვნულ-კულტურული ფასეულობებისა და ტრადიციების, ასევე მსოფლიო ხალხთა ფასეულობებისა და ღირებულებების პატივისცემას

ამოცანა N1

სკოლაში ფორმალურ

განათლების პროცესი

შერწყმულია არაფორმალური

განათლების პროცესთან და

ემსახურება

ამოცანა N2

საგანამანათლებლო პროცესი

ემსახურება მოსწავლეებში

გლობალურ-ფუნქციური

უნარების განვითარებას

ამოცანა N3

საგნობრივი კათედრები
აქტიურად თანამშრომლობენ
მოსწავლეებში განათლებისა და
ფასეულობების განვითარების
მიზნით

ამოცანა N4

სკოლაში წახალისებულია
შემოქმედებითი და
კრიტიკული აზროვნება,
დაცულია გამოხატვის
თავისუფლება და ეთიკური
ნორმები.

5. სკოლა მოსწავლეებს უყალიბებს მაღალ პასუხისმგებლობას ოჯახის, თემის, სამშობლოს, მისი კულტურისა და ბუნებრივი გარემოს მიმართ.

ამოცანა N1

როგორც საგნორივი კურიკულუმები, ისე არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავას მაღალი პასუხიხმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდას

ამოცანა N2

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების სწორად გააზრებას

1.სკოლის მართვის დემოკრატიული სტრუქტურის განმტკიცება

1.1 მართვის ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება/ ცვლილებების შეტანა	1.2 სკოლის სტრუქტურული ერთეულების ინსტიტუციონალური გაძლიერება	1.3 სკოლის უსაფრთხოება
1.1.1. 7 წლიანი სტრატეგიურლი გეგმიდან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება	1.2.1. სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირების უზრუნველყოფა	1.3.1. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება
1.1.2. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება, შეთანხმება სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცება პედაგოგიური საბჭოს მიერ	1.2.2. პედსაბჭოს ფუნქციონირების უზრუნველყოფა	1.3.2. სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა
1.1.3. სკოლის შინაგანაწესის განახლება/დამტკიცება	1.2.3. დისციპლინური კომიტეტის ფუნქციონირების უზრუნველყოფა	1.3.3. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა
1.1.4. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის გადახედვა	1.2.4. კათედრების ფუნქციონირები გაძლიერება	1.3.4. სამედიცინო მომსახურების მხარდაჭერა
1.1.5. სკოლის მიერ ორგანიზებული სხვადსხვა საგნობრივი კონკურსების დებულებების შემუშავება	1.2.5. ლიდერი მასწავლებლების ინიციატივების მხარდაჭერა	1.3.5. პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა
1.1.6. სტრუქტურული ერთეულების დებულებების შემუშვენბა/განახლება	1.2.6. მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირების უზრუნველყოფა	
1.1.7. მონიტორინგისა და შეფასების დებულების შემუშვება, ინდიკატორების განსაზღვრა		

2. სწავლა - სწავლება

2.1. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ხელშეწყობა	2.2. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად	2.3. მოსწავლეთა დისციპლინის მართვა
2.1.1. კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნდა და დანერგვა	2.2.1. მოსწავლეთა საჭიროების კვლევა	2.3.1. მოსწავლეთა დისციპლინური დარღვევების მონიტორინგი
2.1.2. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება I საფეხური - 50%-ით, II საფეხური - 40%-ით, III საფეხური - 30%-ით	2.2.2. სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობის ზრდა 40%ით მათ შორის სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა/ჩატარება	2.3.2. მოსწავლეთა ანტისოციალური ქცევის პრევენცია (პროექტი)
2.1.3. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დიაგნოსტირება, კვლევა	2.2.3. ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მოსწავლეთა ჩართულობის ზრდა, შიდასასკოლო ტურში - 30%-ით.	2.3.3. მოსწავლეთა გაცდენების შემცირება 50%-ით
2.1.4. სასწავლო რესურსების მუდმივი განახლება	2.2.4. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობის ფარგლებში წრეების და კლუბების შექმნა	2.3.4. მოსწავლეთა დაგვიანების შემცირება 50%-ით
2.1.5. ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში	2.2.5. მოსწავლეთა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებაზე გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვა	2.3.5. სკოლის მანდატურებთან ერთად წესრიგის დაცვაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა

2.1.6. პროექტებზე, კვლევებზე, პრობლემაზე, ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა/დანერგვა.	2.2.6. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება/პოპულარიზაცია	
	2.2.7. სასკოლო პროექტების დაგეგმვა/განხორციელება	
	2.2.8. მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერება	

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა სკოლის ბაზაზე

3.1. სკოლის ბაზაზე პედაგოგთა უწყვეტი განვითარების სისტემის უზრუნველყოფა	3.2. შეფასების, წახალისების და კარიერული ზრდის ეფექტური სისტემის ხელშეწყობა
3.1.1. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის აქტიური მუშაობა	3.2.1. მასწავლებელთა ინიციატივის წახალისება
3.1.2. ხარისხის მართვის მექანიზმების დანერგვა	3.2.2. მასწავლებელთა/კათედრების მიერ ერთობლივი პროექტების დაგეგმვა/განხორციელება
3.1.3. თვითშეფასების და ურთიერშეფასების ინსტრუმენტების შემუშავება 3.1.4. სკოლის და მასწავლებლის საჭიროებების კვლევის ინსტრუმენტების გადახედვა	3.2.3. სასკოლო პროექტებში მასწავლებელთა აქტიური ჩართვა
3.1.5. მეთოდური ლიტერატურის შეძენა	3.2.4.

3.1.6. მასწავლებელთა სტატუსის ამაღლების ხელის შეწყობა	3.2.5. ისტ-თან ინტეგრირებული გაკვეთილების კონკურსი
3.1.7. მასწავლებლის სახლის და სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ტრენინგების გავლა	

4. მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა

4.1. მატერიალური რესურსების დაცვა, განახლება, ეფექტური გამოყენება	4.2. მატერიალური და ადამიანური რესურსების უსაფრთხოება	4.3. რესურსების მართვის ხარისხის გაუმჯობესება
4.1.1. მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია	4.2.1. დარაჯებთან ხელშეკრულების გაფორმება	4.3.1. ფინანსური და მატერიალური რესურსების ეფექტური და რაციონალური განკარგვა
4.1.2. სასკოლო ინვენტარის განახლება: პროექტორების, კომბინირებული პრინტერების, სპორტული ინვენტარის შეძენა	4.2.2. დაცვის სამსახურთან ხელშეკრულების დადება	4.3.2. მონაწილეობითი ბიუჯეტის განხილვა/დამტკიცება
4.1.3. სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია (სახურავი, ფასადი, გათბობის სისტემა, სპორტული დარბაზი, მულტიფუნქციური სივრცე, პირველი სართულის საკლასო ოთახები)	4.2.3. სართულებზე მორიგეობის დაწესება	4.3.3. საგრანტო პროექტების მომზადება

4.1.4. სასწავლო რესურსების განახლეება. წიგნადი ფონდის შევსება	4.2.4. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემისა და ევაკუაციის გეგმის განახლება	4.3.4. სკოლის თავისუფალი ფართის გაქირავება

5. საზოგადოებასთან ურთიერთობა

5.1. მშობელთა პედაგოგიზაცია	5.2. სკოლის საქმიანობის პოპულარიზაცია	5.3. სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა
მშობელთა ჩართულობით სასკოლო აქტვობების ორგანიზება/განხორციელება	სასკოლო და სკოლის გარე ღონისძიებები	სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ კონკურსებსა და პროექტებში მონაწილეობა.
მშობელთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმების შემუშავება	სკოლის ვებგვერდი	საქველმოქმედო აქციების ორგანიზება/მონაწილეობა. უნივერსიტეტებთან პროფესიულ სასწავლებლებთან მემორანდუმების გაფორმება

6.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

6.1. ორგანიზაციული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროპგრამების განხორციელებასტან მიმართებაში	6.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება
სამოქმედო გეგმების შემუშვება-განხორციელება-განვითარება	ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება
ხარისხის უზრუნველყოფა (დაგეგმვა, განხორციელება,შეფასება, განვითარება)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას	მატერიალური რესურსების განვითარება
ადამიანური რესურსების განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობისათვის	საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება
6.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის განვითარება	6. 5. უსაფრთხო სამუშო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განახლება, განხორციელება	ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმიმრება უსაფრთხოების წესების შესახებ
6.3. პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	6. 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას
პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებების დაცვა	საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება

		2023 - 2024	2024 – 2025	2025 - 2026	2026 - 2027	2027 - 2028	2028 - 2029	2029 - 2030	ძირითადი ინდიკატორები და მათი სამიზნე ნიშნული	პასუხისმგებელი პირ(ებ)ი
სტრატეგიული მიმართულება 6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება										
სტრატეგიული მიზნები										
6.1.	ორგანიზაციული განვითარება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან მიმართებაში		*	*	*	*	*	*	დირექტორის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი); სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები; მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები; შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები; მარეგულირებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, დარგის სიახლეების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები;	დირექტორი; დირექტორის მოადგილე, სკოლის თანასაზოგადოება
6.2.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის განვითარება		*	*	*	*	*	*	სხვადასხვა კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა; აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კითხვარები;	დირექოტორის მოადგილე, ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები

									კვლევის მედეგები/ანალიზი; საჭიროების შემთხვევაში განვითარების გეგმა, განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები; ჩატარებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; შენარჩუნებული ავტორიზაცია	
6.3.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება		*	*	*	*	*	*	საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოწმებულია, მწყობრშია ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია;შესაბამისობის დასკვნები, ინვენტარიზაციის აქტი, შესაბამისობის და შემოწმების დასკვნები/ანგარიშები შენობის მდგრადობის დასკვნა; ინფრასტრუქტურის მოწყობა/განახლება ვებ-გვერდი ატარებს საკომუნიკაციო-საინფორმაციო ფუნქციას, მუდმივად განახლებულია ინფორმაცია, ატვირთულია სათანადო დოკუმენტაცია ყოველწლიურად განახლებულია კატალოგი და ატვირთულია ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის შემუშავებულია თანამედროვე მიდგომების შესაბამისი, მოქნილი, გამჭვირვალე ელექტრონული სწავლების/შეფასების მექანიზმები უზრუნველყოფილია ინფორმაციის	დირექტორი; დირექტორის მოადგილე,მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი

									დაცულობა;მექანილია საშუ ნეოვო ასლები. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი პროგრამებით საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;	
6.4.	პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		*	*	*	*	*	*	პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიღება კანონმდებლობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს; საინფორმაციო შეხვედრების/მარეგულრებელი დოკუმენტების გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია სპეციალური გვერდი, სადაც მუდმივად ახლდება ინფორმაცია კარიერული განვითარების, დასაქმების შესახებ და სხვა.	დირექტორი; დირექტორის მოადგილე,
6.5.	უსაფრთხო სამუშო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა პროფესიული		*	*	*	*	*	*	შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა შეფასებულია რისკები საჭიროების შემთხვევაში დასახულია	მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი,

	საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას								გეგმა, საგანგებო სიტუაციების პირობის გეგმა შეთანხმებულია შესაბამის ორგანოსთან; დაცულია სახანძრო და ელექტრო უსაფრთოების ნორმები, აღებულია შესაბამისობის დასკვნა ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჰიგიენური ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	
6.6.	საზოგადოებასთან ურთიერთობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას		*	*	*	*	*	*	შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია კოლეჯის ცნობადობის ასამაღლებელი/სარეკლამო ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მონაწილეობა ერთობლივ ღონისიებებში, ტრენინგებსა და სხვა აქტივობებში	**დირექტორი , საინფორმაციო მენეჯერი**

4. სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები :

4.1. სკოლის მართვის დემოკრატიული სტრუქტურის განმტკიცება

სკოლის მართვის დემოკრატიული სტრუქტურის განმტკიცების მიმართულებით სკოლას მნიშვნელოვანი პრიორიტეტი აქვს დასახული. ეს პრიორიტეტებია:

ა) ნორმატიულ-სამართლებრივი მართვის დოკუმენტების გადახედვა;

ბ) სკოლის სტრუქტურული ერთეულების ინსტიტუციონალური გაძლიერება;

გ) მრჩეველთა საბჭოს არჩევა და ფუნქციების განსაზღვრა;

სკოლის მართვის დემოკრატიული სტრუქტურის განმტკიცების მიმართულებით სკოლის სტრატეგიული მიზნებია:

ა) ნორმატიულ-სამართლებრივი მართვის ყველა დოკუმენტი სკოლას აქვს შემუშავებული, მაგრამ საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს სკოლის დოკუმენტაციის გადახედვა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სკოლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ახალი მოთხოვნებისა და მოტივაციის წახალისების გაზრდისათვის გადაიხედება და შემუშავდება ახალი დოკუმენტები;

ბ) სკოლის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა სტრუქტურული ერთეულების გამართული მუშაობა. სკოლის მართვაში ჩართულია სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა;

გ) სკოლის მართვაში თანამონაწილეობისა და ყველა ერთეულის ჩართულობის მიზნით აუცილებელია საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და მისი ფუნქციონირება.

სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის სკოლას დასახული აქვს შემდეგი ამოცანები:

- სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება;
- სკოლის შინაგანაწესის განახლება დამტკიცება;
- სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის გადახედვა;
- სკოლის მიერ ორგანიზებული კონკურსების დებულების შემუშავება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულების დამტკიცება;
- სკოლის საჭიროების კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება;

- სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- პედსაბჭოს ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- დისციპლინარული კომიტეტის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; • მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- სკოლის მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა.

ძირითადი დაშვებები და რისკები:

- სტრუქტურული ერთეულების მოტივაცია და ჩართულობა შეიძლება იყოს დაბალი.

პარტნიორები:

პირველი სტრატეგიული მიმართულებით სკოლა ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მასწავლებელთა სახლთან, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა.

4.2. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

სწავლა-სწავლების სფეროში სკოლის ძირითადი სტრატეგიული მიზნებია:

ა) სკოლის ერთ-ერთი პრობლემა არის მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრება, ამიტომ სკოლა მიზნად ისახავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას 60%;

ბ) არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სპორტულ აქტივობებში, წრებსა და კლუბებში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა;

გ) მოსწავლეთა ანტისოციალური ქცევის მართვა. ამ

მიზნების განსახორციელებლად სკოლის ამოცანებია:

- მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება
- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება , II საფეხური- 50% -ით. III საფეხური – 30 %-ით;
- ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მოსწავლეთა ჩართულობის ზრდა: შიდა სასკოლო ტურში -30%-ით, გარე ტურში – 20%-ით;
- სასწავლო რესურსების განახლება და გამოყენება სწავლებაში;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება;

- წარმატებული მოსწავლეების წახალისება-დაჯილდოება

- სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობის ზრდა – 30%-ით;
- სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა/ჩატარება;
- სკოლებში სპორტის სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და სპორტის გაკვეთილებზე მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა;
- სპორტული მიღწევების წახალისება;
- საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობის ფარგლებში წრეების გახსნა;
- საკლუბო მუშაობის წახალისება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის ხელშეწყობა;
- საგრანტო კონკურსის გზით დააფინანსებს ახალგაზრდების ინიციატივებს;
- მოსწავლეთა დისციპლინარული დარღვევების მონიტორინგი;
- მოსწავლეთა ანტისოციალური ქცევის პრევენცია(პროექტი);
- მოსწავლეთა გაცდენების შემცირება -50 %-ით;
- მოსწავლეთა დაგვიანების შემცირება -50%-ით;
- კონკურსი ,,წლის საუკეთესო კლასი"

რისკები:

- საგრანტო პროექტების დაფინანსებისთვის შეიძლება შეიქმნას ფინანსური პრობლემა;
- ოლიმპიადებსა და კონფერენციებში შესაძლებელია ვერ იქნას მიღწეული მაღალი დონე;
- შესაძლებელია ვერ იქნას აღმოფხვრილი მოსწავლეთა გაცდენა-დაგვიანებები.

პარტნიორები:

ამ მიმართულებით სკოლა ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მასწავლებელთა სახლთან, სკოლებთან, არასამთავტობო ორგანიზაჩიასთან ,,უკეთესი მომავლისათვის", რონდელის ფონდთან, სტრატეგიული განვითარების ცენტრთან, USAID, PHinternational, ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

4.3 . მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სფეროში სკოლის სტრატეგიული მიზნებია:

ა) სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის საჭიროა მასწავლებელთა პროფესიული ზრდა, ამისათვის ყველაზე ეფექტური და მომგებიანი იქნება სკოლის ბაზაზე პედაგოგთა პროფესიული განვითარების უწყვეტი სისტემის უზრუნველყოფა;

ბ) შეფასების, წახალისების და კარიერული ზრდის ეფექტური სისტემის ხელშეწყობა; ამ მიზნების მისაღწევად სკოლას დასახული აქვს შემდეგი ამოცანები:

- მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა პროფესიული დაოსტატების მიმართულებით;
- თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტების შემუშავება;
- გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვა, ურთიერთსწავლება;
- მეთოდური ლიტერატურეს შეძენა;
- მასწავლებელთა სტატუსის ამაღლება;
- კონკურსი ,,წლის საუკეთესო მასწავლებელი";
- კონკურსი ,, წლის საუკეთესო კათედრის ხელმძღვანელი";
- კონკურსი ,,წლის სუკეთესო კლასის დამრიგებელი";
- ისტ-თან ინტეგრირებული გაკვეთილების კონკურსი.

დაშვებები:

- სკოლის ბაზაზე პედაგოგთა უწყვეტი განვითარების სისტემის უზრუნველყოფისათვის სკოლას, სავარაუდოდ, დასჭირდება სპეციალისტის მოწვევა. ამიტომ მნიშნელოვანი დაშვებაა, რომ სკოლა შეძლებს, ბიუჯეტის საერთო ოდენობიდან გამომდინარე, ამ პროცესებისათის თანხის გამოყოფას.

რისკები:

- შეიძლება ვერ მოხერხდეს მასწავლებელთა დიდი ნაწილის სტატუსის ამაღლება
- შეიძლება ვერ მოხერხდეს მასაწავლებელთა ტრენინგებისათვის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა.

პარტნიორები:

ამ მიმართულებით სკოლა ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მასწავლებელის სახლთან.

4.4. მატერიალურ –ტექნიკური ბაზის სრულყოფა

მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით , სწავლების ხარისხის ეფექტიანობისათვის, მოსწავლეთა მოტივაციისათვის საჭიროა მატერიალურ –ტექნიკური ბაზის სრულყოფა.სკოლას აქვს გარკვეული რაოდენობის მატერიალური რესურსი, რაც მოითხოვს დაცვას, განახლებას.

სკოლის მატერიალურ –ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიმართულების სტრატეგიული მიზნებია:

ა) მატერიალური რესურსების დაცვა, განახლება, ეფექტური გამოყენება;

ბ) მატერიალური და ადამიანური რესურსების უსაფრთხოება;

გ) რესურსების მართვის ხარისხის გაუმჯობესება.

ამ მიზნების მისაღწევად სკოლა განახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია;
- სასკოლო ინვენტარის განახლება: I საფეხური- 50 მერხი, III საფეხური – 100 მერხი, კომპიუტერის მაგიდა 10 ცალი, პრინტერი 3 ცალი
- კომპიუტერი -15ცალი; პროექტორი -6ცალი.

- სკოლის სრული რეაბილიტაცია.
- სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა;
- დარაჯებთან ხელშეკრულებების გაფორმება;
- დაცვის სამსახურთან ხელშეკრულების გაფორმება;
- სართულებზე მორიგეობის უზრუნველყოფა;
- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემისა და ევაკუაციის გეგმის განახლება;
- მონაწილეობითი ბიუჯეტის განხილვა/დამტკიცება;
- საგრანტო პროექტების მომზადება;
- სკოლის თავისუფალი ფართის გაქირავება;
- სტანდარტსზევით ფასიანი მომსახურების შეთავაზება;

დაშვებები:

- სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად, სავარაუდოდ, სკოლას დასჭირდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური დახმარება. რადგანაც სამინისტროს აღებული აქვს ვალდებულება სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, მნიშვნელოვანი დაშვებაა, რომ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ სრულად ჩარიცხოს თანხები სკოლის რემონტისთვის და სკოლის ბიუჯეტიდან დაფინანსება აღარ იყოს საჭირო.

რისკები:

- არასაკმარისი დაფინანსების შემთხვევაში შეიძლება, ვერ მოხერხდეს დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების სრულად განხორციელება;
- შეიძლება არ გამოჩნდეს სასურველი მეიჯარე სკოლის გასაქირავებელ ფართზე.

პარტნიორები:

ამ მიმართულებით სკოლა ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროსთან, ეკონომიკის სამინისტროსთან, დაცვის სამსახურთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

4.5. საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობა სკოლის განვითარების უმნიშნელოვანესი კომპონენტია სტრატეგიულ გეგმაში, რადგან ის ხელს უწყობს დანარჩენი ოთხი მიმართულებით დასახული შედეგების მიღწევას.

ერთის მხრივ, ამ კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობები ხელს უწყობს სკოლის შიდა ორგანიზაციული რესურსების და პროცესების განვითარებას, მეორეს მხრივ კი სკოლის გარე კონტაქტების, გარემოსთან ურთიერთობის მექანიზმების სრულყოფას.

ამ მიმართულებით სკოლის სტრატეგიული მიზნებია:

ა) მშობელთა პედაგოგიზაცია;

ბ) სკოლის საქმიანობის პოპულარიზაცია;

გ) სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

მიზნების შესრულებისათვის სკოლას დასახული აქვს შემდეგი ამოცანები:

- მშობლებელთა ჩართულობით სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვა/ორგანიზება;
- მშობელთათვის ტრენინგების ჩატარება;
- მშობელთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმების შემუშავება
- სასკოლო და სკოლის გარე ღონისძიებების ორგანიზება;
- სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული კონკურსებსა და პროექტებში მონაწილეობა ;
- სკოლის ვებ-გვერდის მართვა
- სკოლის facebook -ი მართვა
- მშობელთა გვერდის შეექმნა;
- კომუნიკაციის ეფექტურობისთვის ელექტრონული ჟურნალის გამოყენება.
- უნივერსიტეტებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან მემორანდუმების გაფორმება.

დაშვებები:

- მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით საჭიროა მათთვის ტრენინგ-სემინარების ჩატარება, მნიშვნელოვანი დაშვებაა, რომ მშობლები დადებითად შეხვდნენ სკოლის ამ ინიციატივას.

რისკები:

- მშობელთა ჩართულობა ღონისძიებებში შეიძლება დაბალი იყოს.

პარტნიორები:

ამ მიმართულებით სკოლა ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მშობლებთან.

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლა

აცხადებს კონკურსს ,,წლის საუკეთესო მასწავლებელი”

კონკურსის დებულება

კონკურსის მიზნები და ამოცანები:

1. სასწავლო დაწესებულებაში სასწავლო -აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესება;
2. პედაგოგ -ნოვატორთა გამოვლენა, აღიარება და მხარდაჭერა;
3. მასწავლებელთა შორის ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთ გაზიარება;
4. სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების, ინტერაქტიული მეთოდიკის ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმატებული გამოყენების პოპულარიზაცია;
5. წარმატებულ-შემოქმედ მასწავლებელთა სტიმულირება. კონკურსის ინიციატორები და ჩატარების ორგანიზატორები:

კონკურსის ინიციატორი არის სკოლის დირექცია.

კონკურსის ჩატარებას , ნამუშევრების შეფასებასა და გამარჯვებულთა გამოვლენას უზრუნველყოფს სკოლაში შექმნილი საკონსულტაციო საბჭო.

საკონსულტაციო საჭოს შემადგენლობა :

1. საკონსულტაციო საბჭო შედგება : კომისია შედგება 9 წევრისგან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრის წევრები(7).

2. საკონსულტაციო საბჭოს ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო; საკონსულტაციო საბჭოს მოვალეობები :

ორგანიზაციას უწევს კონკურსის ყველა ეტაპის ჩატარებას;

ნამუშევრის სტრუქტურისა და შინაარსის განხილვის შედეგად და იმის გათვალისწინებით თუ რამდენად პასუხობს ის დასახულ მიზნებსა და ამოცანებს - საკონსულტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ნამუშევრის კონკურსზე დაშვების შესახებ;

კონკურსის დებულებით გათვალისწინებულ ვადებში ახდენს ნამუშევრების შეფასებასა და ორივე ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენას;

ნამუშევრის ობიექტური შეფასების აუცილებლობით გამოწვეულ შემთხვევაში უფლებამოსილია ავტორისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

კონკურსში მონაწილეობის პირობები:

კონკურსის მონაწილეები:

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ

წეროვნის N3 საჯარო სკოლის მასწავლებლებს; კონკურსის ნომინაციები:

<u>ნომინაცია:</u> ,, საგაკვეთილო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება და მისი სასწავლო -მეთოდური უზრუნველყოფა";

კონკურსზე მიღებული იქნება:

- ღია ,სამოდელო გაკვეთილი ინფორმაციული ტექნოგოლოგიების გამოყენებით, გაკვეთილის გეგმა, ფოტო მასალა.

- 2023-2024 სასწავლო წელს ჩატარებული ღია გაკვეთილის მასალები.

<u>ნომინაცია:</u> ,,მოსწავლის თავისუფალი დრო და მისი ორგანიზების პრაქტიკული გამოცდილება"; კონკურსზე

მიღებული იქნება:

- ღონისძიება , ღონისძიების განხორციელების გეგმა/პროექტი, ფოტო/ვიდეო მასალა.

- 2023-2024 სასწავლო წელს ჩატარებული ღონისძიებების მასალები. საკონკურსო

ნამუშევრების შეფასება:

საკონკურსო ნამუშევრების შეფასება მოხდება თანდართული შეფასების საორიენტაციო ნიმუშის მიხედვით (თან ერთვის დებულებას);

კონკურსის ჩატარების ვადები:

- მონაწილე დირექციაში წარადგენს ანკეტა-განაცხადს კონკურსში მონაწილეობის შესახებ 2024 წლის 1 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით

(კონკურსის მონაწილის ანკეტა-განაცხადის შედგენა ხდება თანდართული ფორმის შესაბამისად);

- საკონკურსო ნამუშევრის (ღია გაკვეთილი, ღონისძიება) განხორციელება და საჭირო მასალის წარდგენა 1 აპრილიდან 1ივნისამდე ;

- მოეწყობა პრეზენტაცია კონკურსში წარმოდგენილი მასალის 1 ივნისაიდან 10

ივნისამდე; კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება: კონკურსის

შედეგად გამოვლენილი იქნება:

1. გამარვებული ნომინაციაში: „ საგაკვეთილო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება და მისი სასწავლო -მეთოდური უზრუნველყოფა";

2. გამარვებული ნომინაციაში:„მოსწავლის თავისუფალი დრო და მისი ორგანიზების პრაქტიკული გამოცდილება"; კონკურსის

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული დაჯილდოვდება ივნისის ბოლოს საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლა

აცხადებს კონკურსს „წლის საუკეთესო

დამრიგებელი”

დებულება

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ კლასის დამრიგებლები I -დან XII კლასის ჩათვლით.

მიზანი:

- კლასის დამრიგებლების მოტივაციის ზრდა;
- დამრიგებელმა ხელი შეუწყოს კლასში თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;
- დამრიგებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებას;
- დამრიგებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- უვითარებდეს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას;
- დაეხმაროს მოსწავლეებს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში;
- დამრიგებელსა და მშობელს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთნდობის გარემოს შექმნა.

კონკურსის პირობები:

კონკურსის ჟიური სისტემატურად მეთვალყურეობას გაუწევს კონკურსში მონაწილე დამრიგებლების საქმიანობას. სასწავლო წლის ბოლოს

წლიური შეაფასებს დამრიგებლის მუშაობას ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით კონკურსის ჩატარების ვადები:

- მონაწილე დირექციაში წარადგენს ანკეტა-განაცხადს კონკურსში მონაწილეობის შესახებ 2024 წლის 1 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით (კონკურსის მონაწილის ანკეტა-განაცხადის შედგენა ხდება თანდართული ფორმის შესაბამისად);

-საჭირო მასალის წარდგენა (სადამრიგებლო ჟურნალი, ღონისძიებების ამსახველი მასალა-დოკუმენტაცია) 1 აპრილიდან 1ივნისამდე ;

- მოეწყობა პრეზენტაცია კონკურსში წარმოდგენილი მასალის 1 ივნისაიდან 10 ივნისამდე;

კონკურსის შედეგად გამოვლენილი იქნება:

1. გამარვებული ნომინაციაში: „წლის საუკეთესო დამრიგებელი”;

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება: კონკურსის შედეგების შეჯამება მოხდება სასწავლო წლის ბოლოს(2024 წლის ივნისი).

კონკურსის პირობების მიხედვით გამოვლინდება ორი გამარჯვებული.

კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიგელითა და ფასიანი საჩუქრით.